საქართველოს დემოკრატიული პარტია

ერი

პარასკევი თებერვლის 25 1921 წ.

ფასი 50 მან.

წლიწადი პირველი

№ 8

ქუთაისის საქალაქო ტიპოგრაფიის ტიპებით

№ 8

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4 გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ერი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 1000 მან. ცალკე № 50 მ.

რედაქცია და ადმინისტრაცია
ქუთაისი, თბილისის ქუჩა [illegible] რედაქცია ღია დილის 9 საათიდან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდის, კანტორა ღია დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი ბეღილებისა და კორესპონდენციებისათვის ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.
დეპეშებისათვის—ქუთაისი ERI. ტელეფონი № 32
წერილები დაწერილი უხდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთა. ხელნაწერები წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილებს შესახებ რედაქცია მიუღებ მოწერას არ კისრულობს.

ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ერი

გამარჯვებული საქართველო

ქართველი ერი იმეორებს თავის ისტორიულ გმირობას. ამხედრებული, მთლიანი, პატრიოტულად აღგზნებული, სავსე იმედებით და იდეალიზმით იგი დღეს წარმოადგენს განთაგისუფლებულ ამირას, რომელიც ლვთიური ცეცხლით იკაფავს გზას მოძალეებისაკენ. ჩვენმა მხედრობამ ბოლშევიკები სასტიკათ დაამარცხა თბილისის მახლობლად. რუსები და სომხები თავზარდაცემულნი გარბიან.

წინ მიდის გამარჯვებული საქართველო.

განცხადება

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცნობით ალმოჩენილია ეალბი ათასი მანეთიანი, რომელიც ბანირჩეკა ნამდვილიდან მით, რომ მეორე გვერდზე გვრბის ქვეშ «დაისვენებს» მაგიერ ეალბ ფულზე აწერია «დაიაკვენა».

განცხადება

სამხედრო მდგომარეობის გამო თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა წლის 19 თებერვლიდან ცხადდება საყოველთაოთ:

1) შეჩერებული იქნას ერთი თვის ვადით პროტესტი და გადახთევინება ყველა იმ ვექსილებისა, რომელნიც გაცემული არიან 19 თებერვალამდის ამა 1921 წლისა.

შენიშვნა: ამით არ უქმდება უფლება ვექსილების პროტესტის გადადებისა აღნიშნული 1914 წლისა 20 ივლისის კანონში № 2055

2) მიეცეს საკრედიტო დაწესებულებებს უფლება იმავე ვადით შეაჩერონ მიბარებული ფულის დაბრუნება.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**
ფინანსთა და ვაჭრობის მრეწველობის მინისტრი **კ. პ. კანდელაკი.**
23 თებერვალი 1921 წ.

დასავლეთ საქართველოს საგენერალ-გუბერნატორო.

თანახმათ მთავრობის დადგენილებისა მთელ დასავლეთ საქართველოში გამოცხადდეს სამხედრო წესი.

გენერალ-გუბერნატორათ ინიშნება ქუთაისის ერობის გამგეობის თავმჯდომარე **კონსტ. სულაქველიძე.**

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრიგოლ ლორთქიფანიძე**

გენერალ-გუბერნატორის ბრძანებები და განკარგულებანი

ერობებს: შორაპანი, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ლეჩხუმი, რაჭა, ქ. ლაქის თვითმართველობებს: ფოთი, სამტრედია, ხონი, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზესტაფონი, ჭიათურა, ონი.

ვისაც მობილიზაციის წესით სამხედრო სამსახურში გაწვევა უწევს და დღემდე არ გამოცხადებულა, მიიღეთ ზომები განცხადებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოცხადდენ მიმდებ კომისიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევნი ბრძანებისა სამხედრო სასამართლოში იქნებიან მიცემული. აგრეთვე გამოუცხადეთ მცხოვრებთ, რომ დღიდან განცხადებისა 24 საათის განმავლობაში წარადგინონ ადგილობრივ მილიციის უფროსებთან, ან გვარდიის შტაბებში, ვინტოვკები და ტყვიები, თუნდა ნებართვაც ქონდეთ. დამრღვევნი ბრძანებისა დასატიმრებულნი იქნებიან სამი თვით ან დაჯარიმებული ასი ათასი მანეთით.

— —

სამაზრო ერობებს: ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ცაგერი, ონი, ქალაქის თვითმართველობებს: ფოთი, სამტრედია, ჭიათურა, ხონი, სენაკი, ზუგდიდი ონი ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზესტაფონი, ასლი მილიციის უფროსებს.

მიიღეთ სასწრაფო ზომები, რათა ადგილობრივ მოხდეს თოფების მოგროვება, მილიციას ვინტოვკების მაგიერ დაურიგეთ ბერდენკები შედეგები დაუყოვნებლივ მაცნობეთ.

— —

ქუთაისის მაზრის თემების თავმჯდომარეთ.

წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სასწრაფო და სასტიკი ზომები, რომ 24 საათის განმავლობაში მისაღებ პუნკტებზე მოყვანილ იქმნენ თქვენი თემებიდან მობილიზაციით გაწვეული ჯარის-კაცნი. პასუხისმგებელი ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის თქვენ იქნებით.

— —

სამაზრო ერობებს: ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ონი, ქალაქის თვითმართველობებს; ფოთი, სამტრედია, ჭიათურა, ხონი, სენაკი, ზუგდიდი, ონი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზესტაფონი, ასლი მილიციის უფროსებს

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 23 თებერვლიდან გამოცხადებულია მთელ დასავლეთ საქართველოში სამხედრო წესები, გენერალ გუბერნატორათ დანიშული ვარ მე, იმ უფლებათა მინიჭებით, რომელიც აღნუსხულია კანონთა კრებულის 23 მუხლის მე 19 დამატებაში და დამფუძნებელ კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტში და დღეის რიცხვიდან შევუდექი დაკისრებულ თანამდებობის აღსრულებას.

— —

მომენტის სიდიადე, როგორც სჩანს, ბევრს კიდევ ვერ შეუგნია. არიან ისეთები, რომელნიც დღევანდლამდე

მოქალაქენო დაიცავით წესიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაურბიან თავის მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულებას და იმ დროს, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილები ბრძოლის ველზე თავის მოვალეობას წმინდათ და პირნათლათ იხდიან, მხდალათ და ქურდულათ მიმალულან და გაურბიან მოვალეობის მოხდას. ამიტომ ვბრძანებ: ყველა, ვისაც მობილიზაციის წესით სამხედრო სამსახურში გაწვევა უწევს და დღემდე არ გამოცხადებულა, დაუყოვნებლივ, ამ განცხადების გამოკვრიდან 24 საათის განმავლობაში, გამოცხადდენ ჯარის-კაცთა მიმღებ კომისიებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთები გადაეცემული იქნებიან სამხედრო საველე სასამართლოში.

——

ზოგიერთი პირები ომით შექმნილი პირობებისა გამო განზრახ მალავენ საქონელს და ან უსაჭიროებს მოთხოვნილების საგნებზე ხელოვნურათ სწევენ ფასებს, ვაფრთხილებ ასეთ პირთ, რომ ჩემ მიერ მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქნება მიღებული და შემჩნეულნი საქონლის გადამალვასა ან საქონელზე ხელოვნურად ფასების აწევაში, ვადაცემული იქნებიან სამხედრო სასამართლოში და დასჯილნი სამხედრო წესების თანახმად.

——

შიგნით რესპუბლიკაში არიან თითო ოროლა სამშობლოს ულირსნი შვილები, რომლებიც განზრახ, მშვიდობიან ცხოვრების დასარღვევათ და ხალხში პანიკის შესაქმნელათ ავრცელებენ ცრუ ხმებს ფრონტის მდგომარეობის შესახებ. მოუწოდებთ მოქალაქეებს ნუ აყვებიან ასეთს უსაფუძვლო ჭორებს: ომის მდგომარეობის შესახები გვარდიის შტაბები და საზოგადო დაწესებულებანი თავის დროზე აქვეყნებენ უტყუარ ცნობებს.

ამ ცრუ ხმების გამავრცელებელნი კი გადაეცემიან სამხედრო საველე სასამართლოს და დაისჯებიან სამხედრო წესების მთელ სისასტიკით. დემოკრატიული რესპუბლიკა მოღალატეებს არ დაინდობს მათდამი ლმობიერებას არ გამოიჩენს.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს, ქართველმა ერმა საკუთარი გამოიჩინა მისი ბუნებრივი სიგმირე და სულგრძელობა. სამშობლოს დაცვით გაჟღენთილი ჩვენი ერის საუკეთესო შვილები სასწაულს ახდენენ ფრონტზე. ყველა მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, ხოლო შურით და ღვარძლით აღსავსე გაბოროტებული მტერი დიდი დანაკლისით უკან იხევს. ამ გამარჯვებით ჩვენი სამშობლო სამუდამოთ განთავისუფლდა თვითმპყრობელი დაპყრობითი მიზნებით აღსავსე ბოლშევიკებისაგან და მშვიდობიანი ცხოვრება საშუალებას მისცემს მას გამოიჩინოს მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. საჭიროა ერთხელ კიდევ მთელი ჩვენი ძალის და ენერგიის მოკრება და გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება. ამიტომ მოუწოდებ მოქალაქეებს ყველა ჩემ მიერ გამოცემულ ბრძანებათა დაუყოვნებლივ და მტკიცეთ შესრულებას.

მთელ ჩემდამი რწმუნებულ საგუბერნატოროს საყურადღებოთ ვბრძანებ: ვისაც შენახული აქვს სახლში ვინტოვკები და ტყვიები, თუნდაც საამისო სათანადო ნებართვაც ჰქონდეთ, ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში, წარადგინონ ისინი სათანადო მილიციის უფროსთან, ან სახალხო გვარდიის საოლქო შტაბში; ქუთაისის მაზრისა და ქალაქ ქუთაისის მცხოვრებთ შეუძლიან იარაღი წარმოადგინონ ჩემს კანცელარიაში (ქუთაისის სამაზრო ერობა), ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსთან და სახალხო გვარდიის ქუთაისის საოლქო შტაბში. ამ ბრძანების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან 3 თვით ან დაჯარიმებულნი ასი ათასი მანეთით.

დასავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი **კ. სულაქველიძე.**

რამდენხანს გასტანს რუსეთ საქართველოს ომი

რუსეთ-საქართველოს ომი არის უკანასკნელი აქტი იმ ტრაგედიისა, რომელსაც განიცდის ამ ბოლო დროს კაცობრიობა. დაიწყო ეს ტრაგედია შავი ზღვის დასავლეთით, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, პატარა სერბიაში. თავდება კი ის შავი ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიაში მდებარე პატარა საქართველოში.

ჩვენთვის დღეს უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს საკითხი არა იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ეს ტრაგედია; უკვე მთელი მისი წარსული მიმდინარეობა საკმაოდ გარკვეულ პასუხს გვაძლევს ამ საკითხზე.

უფრო საინტერესოა ჩვენთვის მეორე საკითხი: რამდენ ხანს გასტანს კიდევ ეს უკანასკნელი აქტი ამ მოსაბეზრებელი ტრაგედიისა? როდის მოგვეცემა საშუალება მშვიდობიანად დავბინავდეთ ჩვენს სახლში და შევუდგეთ ჩვეულებრივ საქმიანობას, რომელსაც მოწყვეტილი ვართ უკვე შვიდი წლის განმავლობაში?

პასუხი ამ საკითხზე დამოკიდებულია ორი მომენტიდან: პირველია — ვინ შეხვდებოდა და თვით თფილისში ომი კი მას ხელსაყრელათ მიაჩნდა.

მთავარი სარდლის გენიოსური გეგმისა და მხედრული უნარის წყალობით თფილისის გარშემო უცებ გაჩნდა სიმაგრეები და ეს სწრაფათ გაჩენილი სამხედრო სადარაჯოები გმირული სულით აღფრთოვანებულმა და სამშობლოს დაცვის სურვილით გასალკლდევებულმა ქართველმა ჯარმა ციხეებათ აქცია. მართალია გაჭირვება და უეცარი მდგომარეობა აძლიერებს ადამიანს და უმატებს მას ბრძოლის უნარს, მაგრამ ისე, როგორც ეს დაამტკიცა ჩვენმა მხედრობამ თებერვლის 15, 16, 17, 18-ს — ეს სწორეთ სასწაულია.

ამის ახსნა ჩვეულებრივ შეუძლებელია, ეს უნდა ავხსნათ ღრმა საიდუმლოების გათვალისწინებით. ჩვენი მომქმედი მხედრობის სულიერ აგებულებაში პოტენციალურათ ჩაქსოვილია და ჩაწნული ისტორიულ გმირთა სულისკვეთება. ჩვენს გმირებში მიმალულია უხილავი სულიერი ძალა საქართველოს ძველი სარდლებისა და აი ამ ძალამ იფეთქა, ცეცხლის ალათ გადაიქცა და მტრისა კი არა, მოყვრისათვისაც გასაკვირველი და გაუგებარი გამოსახულება მიიღო. როცა დაწვრილებით გაიგებთ რა ჩაუდენია კვინიტაძეს, მაზნიაშვილს და კიზირიას, იტყვით, რომ ჭეშმარიტად განმეორებულა წამებული საქართველოს სასწაულებრივი გმირობის ხანა.

დიდი განსაცდელი ვაიარა თფილისმა ამ ერთ კვირაში და ენით გამოუთქმელი ძალა გამოუჩენია ჩვენს მხედრობას უეცრად ომის ცეცხლში ჩავარდნილს.

დღევანდელი მდგომარეობის სიმწვავეც იმაშია, რომ მტერი ტრიალი მინდვრებით მოდის; არც ციხე აკავებს, არც მდინარე, არც კლდე მიუვალი და არც ტყე უდაბური. ბუნებრივი საზღვარი ამ მხრით, ამ მიმართულებით არ გვშველის. სწორეთ აქეთა მხრით არის თფილისის დაცვა ძნელი და აი ეს ჩვენ გვაგდებს განსაცდელში და მტერს უკეთეს პირობებში, მაგრამ დახეთ ძალთა დაჭინთვას, დახეთ გმირთა თავგანწირულებას, დახეთ ცუდ პირობათა კარგათ გარდაქმნას, რომ ჩვენი ჯარი სდგას შეურყეველათ, იგერიებს მტერს, უკან ახევინებს და ერიშის მოტანის დროს ტყვეებსა და ნადავლს ართმევს.

მომენტი საბედისწერო, მაგრამ თავგანწირულებაც სასწაულებრივია!

აი რა ჯარი გვყოლია, აი რა სამხედრო ძალა გვქონია, აი რა სულისკვეთება ყოფილა ჩვენი ქვეყნის მამულიშვილობაში, აი რა შეგნებისა და მოვალეობის მატარებელი ყოფილა ჩვენი შთამომავლობა და ჩვენ კი სხვა გვეგონა, ჩვენ მონობაში გადაგვარებული და ილაჯ გაწყვეტილი გვეგონა!

იგრიალა მეხმა და გაჩნდა ძლიერება! გარდაიშალა ბრძოლის ველი და გაჩნდა გმირები!

აი საიმედო საფეხური ჩვენი ისტორიისა. აი ნამდვილი შეურყეველი საბუთი მისი, რომ ჩვენში შესაძლებელია შესდგეს ჯარი მართლა უძლეველი, ჯარი გამოხატველი და გამომსახველი ალექსანდრე მაკედონელის ხანისა.

მართალია ომი განსაცდელია, ომი მეტათ რთული მოვლენაა და ომმა შეიძლება ბევრნაირათ შეგვაწუხოს, მაგრამ ერთი რამ შევიგნოთ: დღევანდელი ომი ჩვენს მდგომარეობას გარდაქმნის, ჩვენს მოქალაქეობრივ შეგნებას განამტკიცებს; ეს ომი სამშობლო ტერიტორიას შეგვასისხლხორცებს და დღეს დანთხეული მამულიშვილთა წმინდა სისხლი ჩვენი თაობის რწმენას სამშობლოს სიყვარულის ემბაზში გაავლებს.

დღეს გარდიქმნება ქართველის სული და გასალკლდევდება მისი გული. გმირული სისხლით ნაზიარები ჩვენი დღევანდელი თაობა განიცდის განახლებულ თამარის, და ბაგრატების შემოქმედების ხანას.

ეროვნული მრწამსიც ახლა დაიწერება, ეროვნული დროშაც ახლა მოიქსოვება, ეროვნული გმირობაც შიდ ჩაექსოვება და ეროვნული ღირსებაც მასზე მოიქარგება.

ეროვნული ხმალიც დღეს გაიბედება, და ეროვნული მკლავიც დღეს გამაგრდება.

ბოლშევიკური ბარბაროსობა და ეროვნული კულტურა დღეს შეეჯახებიან — ერთი მეორეს არ იგუებს, ერთად ვერ მოთავსდებიან და უეჭველია კულტურის სხივი გაფანტავს ბარბაროსობის სიბნელეს.

ნეტარება ჩვენ თუ გამარჯვების წუთი გვეღირსა და განთიადის რიჟრაჟიც ჩვენმა სამშობლომ იხილა.

ტრიფონ ჯაფარიძე.

საგედისწერო წუთები.

ამ ერთი კვირის განმავლობაში მტრის გეგმებიც გამოირკვა, მისი ძალაც გამოჩდა, ჩვენი მთავარი პოზიციებიც აღინიშნა და ომის სიმწვავეც სავსებით განვიცადეთ.

თავიდანვე თბილისი გარშემო გამაგრებული არ იყო: კოჯორი, სოდანლული, ვაზიანი — ეს ისეთი ადგილები იყო, სადაც ჩვენი სამხედრო ძალა არც კი ყოფილა დამზადილი. ასე ახლო მიდამოებში მტრის შემოსვლა მოულოდნელი იყო და ამიტომაც თადარიგი არ ყოფილა. არც ერთი ეს ადგილი სტრატეგიულ წერტილათ არ ითვლებოდა. მტერთან „შესაძლებელი“ საზღვარი თფილისიდან უფრო მოშორებით იყო და სამხედრო ძალებიც იქით იყო მიმართული.

მტერმა ამით ისარგებლა და ფარულათ სწორეთ იქიდან გვეპარებოდა, საიდანაც მას არ ველოდით და არც მოსალოდნელი იყო.

მოხდა ის, რასაც არ ველოდით, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ მოხდა ისიც, რასაც მტერი არ ელოდა.

მტერი გახსნილი გზებით მოიპაროდა, სრული დარწმუნებული იყო, რომ თფილისის გარშემო წინ არაფოებრივი მთლიანობის ფიქციას ქმნის მხოლოდ ერთი მუჭა ბოლშევიკებისაგან შემდგარი მმართველობა, რომელიც ოფიციალურ მიწერ-მოწერაში უცხოელებთან მთელი რუსეთის სახელით ლაპარაკობს. რომ რუსეთის ხალხი სრულიად დაშლილი არ იყოს, რომ იქ ანარქია არ იყოს გაშეფებული, ასეთი ანტიპატიური და ხალხისათვის სრულიად მიუღებელი მთავრობა, როგორიც არის მთავრობა ბოლშევიკური, ერთ საათსაც ვერ გაუძლებდა ხალხის რისხვას.

ამნაირად, დღეს ჩვენ გვებრძვის არა სახელმწიფო, არა ის რუსეთი, რომელზედაც ჩვენ ძველი წარმოდგენა დაგვრჩა, ჩვენ გვებრძვიან, შეიძლება ითქვას, რუსებისაგან შემდგარი ბრბოები. ბრბოს კი არ შეუძლია ხანგრძლივი ბრძოლა. ის თავს დაგესხმება; თუ გძლია, დაგარბევს, აგაწიოკებს, აგიკლებს, მაგრამ ბევრი ხნით მაინც ვერ გაჩერდება შენსას. თუ დამარცხდა, ზურგს გაქცევს და სამუდამოდ გადიკარგება. ორივე შემთხვევაში ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა ბრბოს არ შეუძლია. არც რუსებს შეუძლიათ დღეს ხანგრძლივი ომი. საამისო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მათ არ აქვთ. არამც თუ რუსეთიდან ასე დაშორებულ საქართველოში, თვით რუსეთის შუაგულში, სადმე ხარკოვში ან პოლტავაში, ბოლშევიკებს სისტემატიური ბრძოლის წარმოების უნარი არ გააჩნდათ. დღეს შემოიჭრებოდენ ქალაქში, წაიღებდენ რის წაღებასაც მოასწრებდენ და ხვალ კი კვლავ, უკან დაიხევდენ სულ მცირე რიცხოვანი მტრის წინაშე.

მაშ, ეს უნდა კარგად ვიცოდეთ: ჩვენ გვებრძვის არა სახელმწიფო, არამედ ბრბო, საკმარისია ეს ბრბო პირველ შეტევაზე დამარცხდეს, რომ ის სრულიად დაიფანტოს.

შემდეგი იქნება.

ს. დარიანი.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

მიღებულია 24 თებერვალს 9 საათ. 40 წ. დილით.

თფილისი 23 თებერვალი გენერალური შტაბის ცნობა. 22 თებერვლის დღემ თბილისის მიდამოებში მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ სალამოს შენიშნულ იქნა ყარაიაზიდან საგარეჯოსაკენ მტრის მცირეოდენი ძალების შემოტევა.

კახეთში გლეხთა პარტიზანული მოქმედებები იზრდება.

დარიალის ხეობაში მოწინააღმდეგის შემოტევა უკუგდებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოუტია ჩვენს მოწინავე ნაწილებს. გაგრის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება.

თბილისის გამაგრებულ რაიონის მოქალაქეთა მობილიზაციამ ბრწყინვალეთ ჩაიარა. გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილება განმარტავს თავდაცვის საბჭოს დადგენილებას, რომლის ძალით თბილისში გაწვევა უწევთ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთ ცხრამეტი წლიდან 40 წლამდი, გარდა რუსს ეროვნებისას.

——

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა წლის 19 თებერვლის თარიღით ყველას საყურადღებოთ ცხადდება, რომ ომის გამო ერთი თვით შეჩერებულია პროტესტები ყველა თამასუქების განაღდებისა, რომლე-

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც მოცემულია 1921 წლის 19 თებერვლამდი.

——

1914 წლის 20 ივლისის № 2055 კანონით ყველა საკრედიტო დაწესებულებებს ნება ეძლევათ შეაჩერონ ფულის გაცემა.

——

დამფუძნებელ კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოსცა შემდეგი დადგენილებანი: პირველი-ვილებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოზე დაცემაში იღებენ მონაწილეობას ქართველი ხალხის ულირსი შვილები, ვადგენთ: **ქართველები, რომლებიც ეხმარებიან ამ ომში მოწინააღმდეგეებს, ცხადდებიან ქართველი ერის მოღალატეებათ. მათ ჩამოერთმევა ძონება ნრუელად. და ცხადდებიან საქართველოს მომძმედ კანონების მფარველობის გარეშე.**

ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას. მეორე—დამფუძნებელ კრებამ მოისმინა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა, რომლიდანაც გამოირკვა, რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავის თავს აცხადებს საქართველოს მთავრობათ, რომ ხსენებული ჯგუფი წინამძღოლობს რუსეთის საბჭოთა ჯარებს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ-ფაიკ-ამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადდეს ქართველი ხალხის მოღალატეებათ, ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდენ ისინი საქართველოს რესპუბლიკის კანონთა მფარველობის გარეშე.

——

დამფუძნებელი კრება ანდობს მთავრობას, მიიღოს ყველა შესაძლებელი ზომები, რომელსაც იგი დაინახავს აუცილებელ საუკეთესო ორგანიზაციად. ბრძოლისა, სამშობლოს დაცვისა და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველ საყოფათ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲘ შ. ქარუმიძე ხევსურთა ცხენოსანი და ქვეითა რაზმებით ბომბორიდან თბილისში ჩამოვიდა. მუხრანისა და ვაზიანის რაიონში ამ რაზმებს შეტაკება ქონდათ ბოლშევიკებთან.

ᲛᲐᲢᲐᲠᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ. თებერვლის 18 დან დაინიშნა მატარებლები თბილისსა და ბათუმისაკენ № 21 და 22, რომლისთვისაც შესახვედრათ ქუთაისიდან გადის მატარებელი № 75 დილის 11 საათზე.

ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ. ქუთაისის სამაზრო ერობამ ყოველ თემიდან მიიღო ცნობები რომ ხალხი უხვათ წირავს ფრონტს სიმინდსა და სხვა სანოვაგეს.

ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ქუთაისის მუშათა კლუბში, სადაც იკერება ჯარის კაცების ტანსაცმელი, ვაჭრებს თავის ნებით მიაქვს ფართალი და ჯარის კაცისათვის საჭირო სხვა საქონელი.

ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ჯარის კაცებისათვის. ტანსაცმელის კერა უკვე დაიწყო. დღეში იკერება არა ნაკლებ 3,000 კაცის ტანსაცმელისა. მოუწოდებთ მანდილოსნებს მიიღოს მონაწილეობა სამშობლოს თავდაცვის საქმეში. ყველა გამოცხადდით მუშათა საბჭოში ტანსაცმელის საკერავათ. ვისაც ეს არ შეუძლია, მიაწოდონ საკერი მანქანები დროებით.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო „საქართველო“ სწერს:

ჯერ ომი სწარმოებს, საშინელი ომი, მაგრამ საქართველოს გულიდან—თბილისის კლდეებიდან უკვე აღმოხდა „ვაშა!“ და გამარჯვების გრიალი ეფინება ქვეყნიერებას. რუსეთის დამშეულთა ურდოები, რომლებიც ემუქრებიან მთელს განათლებულ კაცობრიობას წარღვნით და წალეკით, უკვე ეხეთქა ერეკლე მეფის სტრატეგიულს ხაზებს, ახლა გაქვიტკირებულს ჩვენი მამულიშვილების მკერდით,—ეხეთქა, დაიმტვრია შუბლი და დამარცხებული იხევა უკან.

ვაშა, საქართველოვ!

მოხდა დიდებული და გმირული საქმე; ჰწყდება ბედი არა მარტო საქართველოისა, არამედ მთელი კავკასიის და მთელი წინა აზიისა. ამ წამს განცვიფრებული ქვეყნიერება დაჰყურებს საქართველოს რუქას: როგორ? ამ პატარა ერმა მოახდინა ეს სასწაული?!

ამწამს ლოიდ ჯორჯი, მილლიერანი, ვილსონი თუ ჰარდინგი უსათუოდ ხელახლად გადაშინჯავენ თავიანთ პოლიტიკის გეგმას, იძულებულნი არიან გადაათვალიერონ და შეუფარდონ იგი ახალ ფაქტორს მსოფლიო ისტორიისას—საქართველოს. ლენინი, ცნობილი ლენინი, შეგლ-შეხრილი და დაღვრემილი, იყურება სამხრეთისაკენ: ნუ თუ აქ, საქართველოს საზღვრებზე, უნდა დამარცხდეს და განიავდეს მისი ველური ოცნება? ნუ თუ აქ არის მტკიცე და შეურყეველი ზღუდე განათლების და თავისუფლებისა?! ჰფიქრობს იგი.

დიახ, აქ არის! ქართველ ერს არ ეტყობა დაღლილობა. თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს საიდუმლო ეროვნულ სულს, საიდუმლო ტალღებს ეროვნულ ენთუზიაზმისას. ხალხი იძვრის თავისთავად, ბუნებრივად, და ყველა დიდი და პატარა, მიეშურება ბრძოლისაკენ... ცაში დადის ლანდები ჩვენი წინაპრებისა... საფლავებს უვლის ჟრუანტელი სიცოცხლისა...

ვაშა, საქართველოვ!

ვაშა, კვინიტაძე!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲔ.

მისი სახელი ეკერა პირზე ყველას, მტრის ვერაგულ და თავხედ შემოსევის პირველსავე გაგებაზე...

მისკენ ჰქროდა გონება ყოველი ქართველი პატრიოტისა, ვისაც სწამდა და სწამს ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი, მისი ძალა და უნარი მტერთან საბრძოლველად...

მის სახელოვან მეომრის შარაგანდედით მოსილ პიროვნების გარშემო შეიკრიბა სხივები ეროვნულ ენთუზიაზმისა, ერის ცხოველმყოფელ იმედისა, გამარჯვების ნებისყოფისა.

მისმა „მომქმედ ძალად“ გადაქცევამ, ძალმა მოწოდებამ სამოქმედო ასპარეზზე—იმედით აღავსო ქვეყნის გული. გააცხოველა და განამტკიცა იმედი და რწმენა ქვეყნის ხსნისა და გამარჯვებისა...

იგი კვლავ მეთაურობს ულმობელ მხედრობას, კვლავ მისს მძლავრ მარჯვენას ჩაჰბარდა განწირვის ჟამს ბედი ქართლისა...

კურთხეულ უყავენ მარჯვენა შენი, გმირო ქართლისაო!

გზა გამარჯვებისა იყავ მუდმივი და განუწყვეტელი ხვედრი შენი და ძლევამოსილ შენის მხედრობისა!

იხსენ ერი შენი განსაცდელისაგან!!

ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ.

ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ..

საქართველო გარემოცულია.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია დღეს ჩაბმული იგი და თოვლით დამძიმებული მიდამოები მისი უხვად იღებება აბაყ მხედართა მიერ დაქცეულ უმანკო სისხლით...

ბრძოლაში გამობრძმენდილი ქართული ლაშქარი დღეს უკანასკნელად ცდის თავის რკინის მკლავს და უკანასკნელ სამხიარულო ჰანგებით მიყუჩებული ქართველი საზოგადოება კვლავ ზარბაზნების გრიალში ჰხედავს საქართველოს ბედის უკუღმართობას!..

ბრძოლის ველზე იმვა საქართველო და ბრძოლა მისი მუდმივი თანამგზავრია სახელმწიფოებრივ შემოქმედების საქმეში...

ბევრი ომი გადაუხდია საქართველოს დღიდან მისი დაარსებისა, მაგრამ უკანასკნელ ომისთანა მნიშვნელოვანი სისხლის-ღვრა მას არ ახსოვს...

საქართველოს საზღვრებზე უნდა გადაწყდეს კულტურისა და ცივილიზაციის საკითხი, თბილისის მრავალ ისტორიულ მოვლენათა მოწამე კედლებზე უნდა დაიმსხვრეს რუსეთის მშიერ სახელმწიფოს არსებობის იდეაც...

ქართველი ლაშქარი იარაღით და საკუთარი სისხლით გადაწყვეტს რუსეთის ბოლშევიზმის ახირებულ კითხვას და ამით საქართველოს გადარჩენასთან ერთად ის ევროპასაც იხსნის...

* * *

ისტორიულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიზნებმა საქართველო და ოსმალეთი დღეს ერთ ენაზე აალაპარაკა...

რუსულ უსირცხვილო იმპერიალიზმის ძირ შესანგრევად ერთნაირად აღიმართა დღევანდელს ომში საქართველოს და ოსმალეთის ბასრი ხმალი...

უკანასკნელი ცნობა ქემალ ფაშის ჯარის ბაქოზე გალაშქრების შესახებ ჩვენში უსაზღვრო თანაგრძნობას პოულობს...

სჩანს ჩვენი ქვეყნის და ოსმალო ხალხის ინტერესთა თანაბრობის სწორმა გაგებამ სამუდამოდ გასწყვიტა ის „შეგობრული“ ძაფი, რომელიც მოსკოვსა და ანგორას შორის არსებობდა და ეს გარემოება კი საუკუნო საფლავს გაუთხრის ბოლშევიკების აზიურ პოლიტიკას...

დიადია ამ ომის მიზნები...

საქართველოს განთავისუფლების და მისი ისტორიულ საზღვრების შემოფარგვლასთან ერთად, მან უნდა გაანთავისუფლოს აზერბეიჯანიც და მთელი ამიერ-კავკასია ბოლშევიკებისაგან.

გაიძვერა სომხების გვამებზე უნდა შეხვდნენ ამ დიდი მიზნის განსახორციელებლად საქართველოს და ოსმალეთის ჯარები და ეს ქრისტიანულ-მაჰმადიანური კულტურის შეერთება პირველი მესაფლავე იქნება რუსეთის ბარბაროსულ სახელმწიფისა...

„მეწ ჰაიასტანის“ ჟანგიანი იდეაც აქ დაიფხრიწება პატრიოტულ გრძნობით აღტკინებულ ჯარების შეერთებულ ხიშტებზე და დაშნაკ-კომუნისტების უხეირო ოცნებანიც ტრაპიზონის და ბათომის პორტების შესახებ ვერასოდეს, იხილავენ დღის სინათლეს...

უკანასკნელად დაიჭიმა საქართველოს ძარღვები...

გაკაჟებულ, ქართველის გულში ერთხელ კიდევ დაეწთება სამშობლოსათვის სისხლის დაქცევის ცეცხლი და ეს სურვილი მშობელ ქვეყნის თვის თავდადებისა ისეთი ძლიერი იქნება, რომ ის ერთიანად წალეკავს ვერაგ მტრების შხამიან გულებს...

საქართველო ცეცხლის ალზე ჰკიდია...

ქართველნო ემზადეთ მსხვერპლის შესაწირად...

Ш. Б-ели.

ᲒᲐᲜᲒᲐᲒᲠᲫᲝᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲗᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ.

19 თებერვალს ჩვენმა ჯარმა სოღანლუღის მინდორზე გაარღვია ის ალყა, რომელიც შემოარტყა თფილისს ჩვენი სამშობლოს გასანადგურებლად შემოჭრილმა „წითელმა“ ბრბოებმა.

ეს დამარცხება იყო დამარცხება მტრის ცენტრის. 20 და 21 თებერვალს ჩვენმა ჯარმა ეერიში მიიტანა მტრის მარცხენა ფრთისაკენ—კოჯორის და ტაბახმელის სიმაღლეებზე, და მარჯვენა ფრთისაკენ სადგურ ვაზიანის რაიონში. ამ ძალების ლიკვიდაციით თფილისს სრულიად ეხსნება ალყა, თფილისი გადარჩენილია და პირდაპირი საფრთხე მოკლე დროში მას აღარ მოელის.

ეს ამბავი სიხარულის ელვასავით მოედება მთელს საქართველოს და მთელს ხალხში ზეიმს გამოიწვევს, რომ ჩვენი ჭალარა თფილისი, გული მთელი საქართველოსი, აქამდის მტრისაგან ხელუხლები დღესაც გადარჩა მტრის მსახვრალ ხელს, აკლებას და აოხრებას.

საქართველოს მთელმა ხალხმა გადაარჩინა თავისი დედა ქალაქი—თფილისი. ეს უდიდესი საქმეა. მაგრამ ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმ უზარმაზარი საქმისა, რომელიც კისრად აწევს ხალხს. თფილისს ალყა მოეხსნა, მაგრამ კომუნისტური ბრბოები ჩვენს ქვეყანას ყოველი მხრიდან ჰყავს დასეული. მათ ხელშია მთელი ბორჩალოს მაზრა, ჩვენი კეკლუცი კახეთის მთელი სამხრეთის ნაწილი გმინავს მტარვალის კლანჭებში. ჩვენი ქვეყნის ეს მხარეები მოელიან ჩვენგან თავის მსწრაფლ განთავისუფლებას ისევე, როგორც მსწრაფლად ვიხსენით ჩვენ თფილისი. თფილისიდან უკუქცეული მტერი შეუჩერებლივ მირბის, მაგრამ იგი არ არის საბოლოოდ გასრესილი. იგი ეჭვი არ არის, თავს მოიყრის ბორჩალოს მაზრის ბუნებრივ სიმაღლეებზე, დაისვენებს, მას მიემატება ახალი ჯარის ნაწილები და ხელახლად მოიტანს ეერიშებს. საჭიროა ამ უკუქცეულს ბრბოებს არ დავაცალოთ გონზე მოსვლა და საჭიროა მათი განადგურება იმ ზომამდე, რომ მათ საბოლოოდ წაერთვას ხალისი საქართველოს საზღვრების გადმოლახვისა.

ყველა ამას ეჭირვება დიდი დრო და კიდევ უფრო დიდი შრომა. მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანას ხანგრძლივი და ძნელი ბრძოლა მოუწევს;—ის რისხვა, რომელიც გამოიწვია მთელს ხალხში საქართველოს საზღვრებში მტრის შემოჭრამ, ჯერ კიდევ დიდი ხნით უნდა ფეთქავდეს ყოველი მოქალაქის გულში. იგი უნდა ღვიოდეს და ძლიერდებოდეს იმდენათვე, რამდენადაც ძლიერდება და რთულდება მტერთან ბრძოლა. დღეს ყველა ორგანიზაციები, ყველა დაწესებულებები ფეხზეა დამდგარი, საქართველოს არ უნახავს მთელი ხალხის ასეთი ერთსულოვნობა. მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილება ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დასჭირდება სამშობლოს, რადგან იგი დიდი ხნის განმავლობაში იქნება საფრთხეში. ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას აიძულეს მახვილი ამოველო ქარქაშიდან და იგი აღარ ჩაგებს ამ მახვილს ქარქაშში იმ დროამდე, სანამ შემოსეული მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარის კაცი აღარ იქნება მის ტერიტორიაზე. ეს კიდევ არ კმარა, მან არ უნდა ჩაგოს ქარქაშში ხმალი იმ დროამდე, სანამ არ ეცოდინება, რომ მტრის მხრივ შეუძლებელია განმეორდეს ისეთივე შემოსევა, როგორიც მან დღეს დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას.

სამშობლოს ხსნის საქმე ბრწყინვალედ დავიწყეთ, მხოლოდ იგი შუა გზაზე არ უნდა იყოს გაჩერებული. იგი უნდა ბოლომდი მივიყვანოთ.

(„ᲔᲠᲗᲝᲑᲐ“).

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲔᲜᲘᲐ.

თფილისი. თებ. 20 საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის საოლქო შტაბებს, ბათომის საგანგებო რწმუნებულს, აფხაზეთის კომისარიატს.

19 თებერვალს მუხანათი მტერი სამარცხვინოთ დამარცხდა თფილისის ბჭეებთან. აქ გაეთხარა მათ პირველი ფართო საფლავი და მით თფილისი იქცა საქართველოს მიუვალ ბჭედ, საქართველოს ვერდენათ, მაგრამ ამ გამარჯვებით არ წყდება თფილისის ბედი, მტერი ისევ იკრებს ძალას და ჩვენზე ეერიშით მოვა. მხოლოდ მტრის სრული განადგურება მოგვცემს ჩვენ საბოლოოდ გამარჯვებას და მშვიდობიანობას. განაგრძეთ მთელი ენერგიით დაწყებული საფრონტო მუშაობა. შეაჩერეთ ყველა დანარჩენი საქმეები, მოეშვეთ თფილისს. მეტი ლაშქარი, მეტი სურსათი. მთავრობა შეურყეველად სდგას თავის პოსტზე და ეყრდნობა თქვენს საქმიანობას

ქართველნ ხელი ხმალს იკარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავდადებას. გამარჯვება ჩვენია. მეფეურობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე.

ნ. ჟორდანია.

ქართველი მუსულმანები.

ბათომის ოლქი მთლად ფეხზე დგება და მზად არის, ეკვეთოს ვერაგ მტერს. შესდგა მოხალისეთა ქართველ მუსულმანთა რაზმი, რომელიც ტფილისისკენ გამოემართა.

დამფუძნებელი კრების წევრები.

დამფუძნებელი კრების ყველა წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ომში. 19 თებერვალს პირველად მათ ახარეს ხალხს ჩვენი ჯარების ბრწყინვალედ გამარჯვება. დილაა. ახლად ფრონტიდან დაბრუნებული დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე აღფრთოვანებული ახარებს სასახლესთან მოზღვავებულ ხალხს გამარჯვებას; ამბობს გრძნობით სავსე სიტყვას, რომელსაც ასე ათავებს: „საქართველოს დემოკრატიამ უნდა გაანთავისუფლოს ამ ბოლშევიკურ ტირანიისაგან არა მარტო საქართველო, არამედ მთელი აღმოსავლეთი“. კვლავ ყველას სიხარულის რკალი იპყრობს. ქალები ვეღარ ითმენენ და ალ. ლომთათიძეს შუბლზე კოცნიან. ისმის მათ შორის გამარჯვებით გამოწვეული სასიხარულო ქვითინიც.

აგერ კიდევ მოიკრიალა ფრონტიდან თოფით ხელში დამფ. კრების წევრმა გ. ცისკარაშვილმა, რომელიც გახარებული მოიძახ ს: „გავიმარჯვეთ, 2000 დე ტყვე დაგვრჩა, მტერი უთავბოლოდ გარბის. ჩვენი მხრივ სრულიად უმნიშვნელო მსხვერპლია“.

მოისმის სასახლიდან ცეცხლით აღგზნებული, აღფრთოვანებული სიტყვა ს. კედიას, რომელიც სიხარულით და მამულიშვილური გრძნობით დამწვარი ცრემლებს ღვრის.

— კაცო, შალვა ქარუმიძის რაზმს თავი უსახელებია: თურმე ლომივით ეკვეთენ მტერს ფშავ ხევსურები.

მიქრის ეტლით პ. საყვარელიძე და ყველას გადასძახის გამარჯვების ხმას.

ამ დროს მოხუცი სილიბისტრო ვაიძახის: „ქართველ ერს სიკვდილი არ უწერია. მან უნდა გაიმარჯვოს“. ისმის ვაშას ძახილი და დაუსრულებელი ტაშის გრიალი. აგერ კიდევ მეშურეობიან ფრონტზე რამოდენიმე დეპუტატი.

გრ. „ეშაპელი“ ახალგაზრდობისაგან შემდგარ მოხალისეთა ახალ-ახალ რაზმებს ისტუმრებს ფრონტზე; ხალხი ხედავს, რომ მისი ბედის ნეტარ-ენი მასთან არიან ჭირშიაც და ლხინშიც, ეს კი აორკეცებს გამარჯვების იმედს. (საქ. რეს.)

აჯანყება სოჭის ოლქში

ტფილისში მიღებულ ცნობებით სოჭის ოლქში ბოლშევიკების წინააღმდეგ ძლიერმა შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა. ამ აჯანყებას ხელი შეუწყო გაგრის ფრონტზე ჩვენი ჯარების მიერ წითელ არმიელების სასტიკად დამარცხებამ.

საფრანგეთის ნადმოხნები.

საფრანგეთის ნალმისნებმა გაგრის რაიონში ბოლშევიკების ურდოებს ხარბაზნები დაუშინეს.

ბოლშევიკური ბოდვა ოდესის წინააღმდეგ.

ლომხებმა ყოფილ მინისტრის მინასიანცის ხელმძღვანელობით ზანგეზური აიღეს და 4,000 ბოლშევიკი შეიპყრეს.

ეზრიაძეზინ და ანაკაკ კანების ხელშია, რომელთაც ტყვედ ჩ ეგარდათ 5,000 ბოლშევიკი.

ყარაბალი ცნობილმა თურქმა ქიაზიმმა დაიკავა.

აზერბეიჯანში აჯანყება დაიწყო. განჯა გარშემორტყმულია აჯ ნყებულებით.

დაღესტანში დიდი ამბოხებაა. მეამბოხეებმა შამილის შვილიშვილის მეთაურობით ვედენი აიღო.

კავკასიის განთავისუფლების.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს განზრახული აქვთ, მიწოდებით მიმართონ კავკასიელ ერებს, რათა შეერთებულის ძალით გაანთავისუფლონ მთელი კავკასია რუსეთის ბოლშევიკების უღლისაგან.

თავდაცვის ფონდისათვის

„ჩემოს“ საზოგადოებამ თავდაცვის ფონდს სამი მილიონი მანეთი შესწირა.

ტფ. ერობა იღებს შეწირულებას

გაზეთებით ფრონტისათვის. მისამართი: რუსთაველის პრ., სახლი ტფ. ერობისა და კონტორა ბელიაევის და პლეხანოვის ქ 55, კონტორა „კოკოლი“

მთავრობის რწმუნებული კახეთში

დამფუძნებელი კრების წევრი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი დანიშნულია მთავრობის საგანგებო რწმუნებულად კახეთში. იგი თავის მოვალეობის აღსრულებას უკვე შეუდგა.

ტყიბულის მოვაჭრეები ფრონტს.

დაბა ტყიბულის მოვაჭრების სახელით გილოცავთ გამარჯვებას. ფრონტის სასარგებლოდ ვგზავნით 50,000 მანეთს. ჭზადა ვართ სამშობლოს შევწიროთ სიცოცხლე.

რწმუნებული მიხეილ კბილაძე.

მთიელების მოხალისეთა რაზმი.

მთიელთა მოხალისეთა რაზმმა, რომელიც ორი დღის განმავლობაში შესდგა, თებერვლის 19 დილით მოწინავე პოზიციები დაიკავა. რაზმმა მიიღო მონაწილეობა ძლევამოსილ ბრძოლაში. და ბოლშევიკების შემოტევა რამოდენიმეჯერ მოიგერია. რაზმში დიდი აღფრთოვანებაა. ყველა დარწმუნებულია გამარჯვებაში და კავკასიის ბოლშევიკების მონობისაგან განთავისუფლებაში. ფრონტზე მოხალისეებს მიესალმა ნ. რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა კავკასიის ხალხთა ბრძოლის საერთო მიზნები. რაზმს მსხვერპლი არა აქვს.

დემოკრატიული პარტიის რაზმები.

გაზ. „საქართველო“-ში ვკითხულობთ:

გუშინ-წინ ქუთაისიდან ოფიცერ ნ. ...ძის მეგთაურობით ჩამოვიდენ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მიერ შეკრებილი მოხალისენი, უმეტესად მოსწავლეები ლგაზრდობა, რომელნიც წარსულ ომებში იღებდნენ მონაწილეობას, 86 კაცი. რაზმს „საქართველოს“ ოდიტორიაში მთავარ კომიტეტის სახელით მიესალმენ გ. ვეშაპელი და ი. მაჭავარიანი.

შემდეგ რაზმი გამოცხადდა გენერალურ შტაბში და განაცხადა სურვილი დაუყოვნებლივ ფრონტზე წასვლისა.

მთავარ სარდალმა თვით ინება რაზმის დათვალიერება და მისალმება, რასაც რაზმი აღფრთოვანებული ვაშაძე შეხვდა. ამის შემდეგ რაზმი გაგზავნილ იქმნა მეორედ ათასეულის ერთ-ერთ გუნდში.

მთავარ-კომიტეტის ცნობით ასეთივე რაზმი გამოსულია ზესტაფონიდან, რიცხვით 300 კაცამდე.

[illegible] ჩვენს ერთად და [illegible] „ბურგში“ დაჭკარით.

ერევანი. სამშობლოს დამხსნელ კომიტეტს თავმჯდომარე ვრაციანს.

მთავრობის სახელით მოგილოცავთ თქვენი სამშობლოს უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას! ჩვენ გვახარებს ცნობა, რომ სომხის ხალხი აღდგა ბოლშევიკებს „ზურგში“ დაჭკრათ. ამას მოითხოვს ორივე ერის საარსებო ინტერესები. მთელი ქართველი ხალხი ადგა თავის უფლებათა დასაცავად. ბოლშევიკური ჯარების იერიშები გუშინ და ამლამით მოგერეგულ იქნა მათთვის დიდი ზარალით.

საფრანგეთი საბოლოოდ გამოვიდა ჩვენს მხარეზე და გუშინ მისმა ესკადრამ შავ ზღვაზე სროლა დაუწყო ბოლშევიკების ჯარებს, რომელნიც ცდილობდენ შეხვდირის გამოსავალის დაკავებას.

მუსულმანობა ერთიანად ბოლშევიკებისადმი მტრულ განწყობილებაშია და ამიერ-კავკასიის ბევრ ადგილებში ააფრიალა აჯანყების დროშა

იწყება კავკასიის ერთა საერთო მიმოსვლა მოსკოვის უღლისაგან თავის დასაღწევად და სოლიდარულად თავისი საქმეების მოსაწყობათ. გთხოვთ მიიღოთ საჩქარო ზომები სომეხთა სოფლების გონს მოსაყვანად. რომელნიც ბოლშევიკებმა მეცდომაში შეიყვანეს. თქვენი მისია თფილისში აღდგენილია. თქვენს რადიო-გრამაში მოხსენებული პირები დღეს მოვლენ რადიოსთან თქვენთან მოსალაპარაკებლათ. გვაცნობეთ ყოველ დღე საქმეთა მამდინარეობის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ **საბახტარიშვილი.**

„ვინ არის გამარჯვების საფუძველი?“

მე არ შემიძლია არ გამოვეხმაურო გვაზავას ქალის სამართლიან ბრალდებას ზოგიერთ ეხლანდელ ქალების არა-შესაფერ მოქმედებაზე.

დიახ, ყველა გაიძახის სამშობლო განსაცდელშია, ყველას სალაპარაკო საღერღელი აქვს, მაგრამ უმეტესათ კი ჩვენს პატივცემულ მანდილოსნებს.

ეხლა, ჩემდა საუბედუროთ, საყვედურების დრო აღარ არის და მხოლოდ ერთი დაგვრჩენია, რომ გავიხსენოთ ისტორიული ქართლის დედა, მისი მამულისადმი თავ-განწირული სიყვარული, მისი ვაჟკაცური მხნეობა-მედგარი სული და ჩვენც მივბაძოთ მას და მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი ძალა—მივეშველოთ მთელი ჩვენი არსებით სამშობლოს. ქართველ ქალებს ბევრი რამ შეგვიძლია, როგორც ზნეობრივად ისე ფიზიკურად და მატერიალურად. ზნეობრივი ვალია ყოველი ჩვენგანის მიანიჭოს ქართველ ვაჟკაცს მხნეობა, თავგანწირვა მამულისადმი და მისი გულწრფელი სიყვარული. მეორე მხრივ ჩვენ ფიზიკურად, ნივთიერად შეგვიძლია მოვეხმაროთ ჩვენს მამაც მეომრებს: მივაწოდოთ ჩვენი დაუღალავი შრომით მონაპოვარი საჭირო მასალა, როგორც სურსათით ისე ყოველნაირი ჩვენი ხელოვნური ნაწარმოებით. ქართველო ქალო, ყველა ჩვენგანი მოვალეა შეიტანოს თავისი წვლილი რა სახითაც მას ეს შეუძლია სამშობლოს სადღეგრძელოთ. და მხოლოდ მაშინ დავანახვებთ მტერს, რომ ქართველი ქალი არ გამქრალა, რომ ჩვენ, ჩვენი ისტორიული წარსული ქართლის დედისა არ დაგვივიწყებია და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მამულის შესანარჩუნებლად და უმაღლესს ზნეობის დასაცავად;—არ დავანებებთ მტერს ცოცხალნი ჩვენს უმანკო ქალებს მათ ფეხის სათელად, არამედ ჩვენ ყოველ ლონის-ძიებას ვიხმართ და უმწვერვალესს გაჭირვების დროს სამშობლოს მტერს ხელში მაბვილით, ცეცხლით და მდუღრით შევხვდებით, მაგრამ ცოცხალნი კი არ დავნებდებით. და როს გავიმარჯვებთ თამამად დავსძახებთ მტერს, რომ ჩვენ ვართ გამარჯვების საფუძველნი-თქო.

მაშ, გასწი ქართველო, რადგან
გიხმობს შენი მამული,
გასწი, მას მიეც ყველაფერი, თვით
შენი სული
და გეფიცებით ჩვენც მხარს მოგ-
ცემთ მამაკაცურად,
არ დავნებდებით მტერს ლაჩრუ-
ლად და დიაცურად.

ლიუბა თვალჭრელიძე-ცახელისა.

კორესპოდენცია.

წერილი სამეგრელოდან. ელვის სისწრაფით მოედო სამეგრელოს მტრის ვერაგული თავდასხმის ამბავი. ერთ დროს ბოლშევიკური სენით დაავადებული სამეგრელო დღეს კამოფხიზლებულია. სამეგრელომ დღეს გაიხსენა ის მწარე წუთები, რომელიც მან გასულ წელში განიცადა ავანტიურული აჯანყების გამო. შვების დღეთ მიაჩნია ის დღე, როცა სამეგრელოდან განდევნილ იქნენ მოხეტიალე ავაზაკები. დღეს, როცა სამეგრელოს ხალხის წინ გადაჭრით არის დასმული საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მეგრელი ხალხი გზის არჩევაში არც შეცდება და არც აყოვნებს არჩევანს. ყველა დარწმუნებულია, რომ თავის ისტორიულ მოვალეობას ქართველი ხალხი როგორც წინეთ ეხლაც შეასრულებს. დიდი და პატარა ყველა ვალდებულათ ხდის თავის თავს, რითიმე დახმარება გაუწიონ საისტორიო საქმეს. მობილიზაციას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, და თუ სხვა დროს ზანტობა ემჩნეოდათ, ეხლა გააფთრებული ეწერებიან ჯარში. ყველა თვალსაჩინო უბნებში შემდგარია რესპუბლიკის შიგნით წესწყობილების დამცველი ჯგუფები რაზმების სახით. შიგ სიამოვნებით ეწერებიან ყოველი პროფესიის ხალხი. შეგნებული აქვთ აგრეთვე სურსათით დახმარების საკითხის საჭიროება. დღემდე სხვა და სხვა საშუალებებს ეძებდა ხალხი, რომ მათზე შეწერილი სიმინდის გადახდა თავიდან აეცდინა, დღეს კი სიამი აღნუსხულ რიცხვს აღარ უყურებს ხალხი და შეძლების მიხედვით უხვათ იძლევიან სიმინდით დახმარებას. ყველა დარწმუნებულია, რომ თუ დღემდე ქართველ მხედრობას ყოველთვის დაუფარავს თავისი საზღვრები, დღეს არც ამით დაკმაყოფილდება, რომ მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარ ნეიტრალურ ზონებიდან, თუ ხათრით დათმობილ ხაზებიდან დედა ქალაქი, და მისი პერიფერიები. სისხლი რაც გასაღებია უნდა გაღებულ იქნას. უსისხლოთ გამარჯვება არ არის. მაგრამ სისხლი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მომავალში. როგორც სხვა დროს ქართული ჯარი და სახალხო გვარდია დღესაც დაამტკიცებს ქართველობას და მამაცური ბრძოლით უზრუნველგვყოფს ყოველგვარ ძარცვის მიზნით მომავალ მტრისაგან. სანგრებს უკან მდგომნი კი დაუმტკიცებენ ჯარს და გვარდიას, რომ ჩვენი საზრუნავი საგანი დღეს საქართველოს მხედრობის ხელის შეწყობა არის. მტერი მოზღვავებულია, მაგრამ სამაგიეროთ დამხდურნი ქართველი ვაჟკაცები არიან ისტორიისგან გმირებათ წოდებულნი.

X.

მთავარი რედაქტორი კ. კაპანელი.
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. გ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

დავკარგე

25 იანვარს ამა წლის, სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა, მიცემული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უმფროსისაგან, № 1705, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულად. იპოლიტე იოსების ძე გრიგოლაშვილი.

1—1

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.